№ 117
შაბათი, 3 ივნისი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 117
შაბათი, 3 ივნისი, 1900 წ.

ხაზეთის ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227

## მოლოდინები.

სახაფხულო თეატრი და ბაღი.

შაბათს, 3 ივნისს, 1900 წელს,

ა. ა. ორლიკის გამგეობითა და ა. ლ. სუხოდოლსკის რეჟისორობით, წარმოდგენილი იქმნება

### გლიკი

### აზო—ყ პივუკ

დრამა 4 მოქ. სიმღერითა და ცეკვით.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დიკოვისა, ოლგინა, გურიანოვა; ბ-ნნი სუხოდოლსკი, მარჩენკო, საბინინი, გოლიადინოვი, კირილენკო, გორსკი, ოსტაპენკო და სხვანი.

დ ა ს ა ს რ უ ლ

### ვეჩორნიცი

1 მოქმედ. ლიბრეტტო, მუს. ნიშჩენსკისა.

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

**ანონსი:** შემდეგი წარმოდგენა კვირას, 4 ივნისს, იქმნება.

კვირას, 4 ივნისს,

კომიტეტი ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტის დამხმარებელ საზოგადოებისა

გაჰმართავს მუშტაიდში

### სახალხო სეირნობას ბაზრითურთ.

დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზედ.

ბაღში შესვლა 20 კაპ. ეღირება.

თუ ცუდი ამინდი იქმნება, სეირნობა შემდეგ კვირისთვის გადაიდება.

(3—უ.—3)

**უმორჩილესად** ვთხოვ ყველას, ვისაც გაეგზავნა წერილები, გამოგზავნონ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“.

(2—122—2) ლადო აღნიაშვილი

## ვთხოვთ,

ვისაც იცოდეს მცოხნავთა კუჭის ერთი განყოფილების,—„სიგო“-ს, სახელი და აგრეთვე „პიშჩეკოდ“, „ლუჩევაია კოსტ“, გამოგზავნონ „ივერიის“ რედაქციაში.

(5—122—2) ლადო აღნიაშვილი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის

## გამგეობა

აცხადებს, რომ მუშაობა ამ ბანკში 1 ივნისიდგან 1 სექტემბრამდე იწყობა დილის 9 საათიდგან და სწარმოებს ნაშუადღევის პირველ საათამდე.

ფულის შეტანა და გატანა შეიძლება შუადღის $12^1/_2$ საათამდე.

(3—6.—1)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დ ი ლ ი თ:

**ვ. ი. ჟიჟინაძე.**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**გ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელის და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სადოსტაქრო.

**ი. დ. გეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

## ქუთაისის ჰაცვეცემულ საზოგადოების საყურადღებოდ.

ჰურქლეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო მაღაზია ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა ქ. ქუთაისში 1 ივნისიდგან გადატანილ იქნება ახლად აგებულ თავად ალფონს თუმანიშვილის შენობაში. გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხე, ბულვარის პირდაპირ. (30—6.—13)

## ახალი ამბავი

*** ხუთშაბათს, 1 ივნისს, საღამოს 8 საათზედ, გუბერნატორის სადგომში, ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის ბ-ნ ი. ნ. სვეჩინის თავმჯდომარეობით, კრება ჰქონდა ახალქალაქის მაზრაში მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარებელ ტფილისის კომიტეტს. როგორც წაკითხულ ანგარიშიდგანა სჩანს, 1 ივნისამდე უმთავრეს კომიტეტს შემოსავალი ჰქონია სულ 205,743 მან. 13 კაპ. აქედგან დაუხარჯნია კომიტეტს 78,119 მან. 84 კაპ. 1 ივნისისათვის კომიცეტს ჰქონია ფულად 127,623 მან. 29 კაპ. წაკითხულ იქმნა აგრეთვე ანგარიში ახალქალაქის კომიტეტის მოქმედებისა. ამ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ ახალქალაქის კომიტეტს შემოსავალი ჰქონია—15,914 მან. 46 კაპ. ამ რიგად სულ დაზარალებულთა სასარგებლოდ პირველ ივნისამდე შემოსულა 221,657 მანეთი 59 კაპ. შემდეგ კომიტეტს ლაპარაკი ჰქონდა სოფ. ბარალეთში ქსენონის დაარსების შესახებ. კომიტეტმა დაადგინა, დააარსოს ქსენონი; ამასთან დაავალა ინჟენერს ბუტკევიჩსა და საგუბერნიო ექიმს ბ-ნს ქიქოძეს შეადგინონ გეგმა ქსენონის შენობისა. ბარალეთში ქსენონის გასამართავად კომიტეტმა 5000 მან. გადასდო. დასასრულ კრებამ მოისმინა მოხსენება ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორის პერევოზნიკოვისა, რომელმაც სთხოვა კომიტეტს იზრუნოს ბარალეთის სკოლის შეკეთებისათვის, რადგანაც ეს სკოლა იმდენად დაზიანებულია, რომ იქ სწავლის განგრძობა ყოვლად შეუძლებელია. კომიტეტმა დაადგინა, შუამდგომლობა აღსძრას, ვისთანაც ჯერ არს, ამ სკოლის შენობის ასაგებად გადადებულ იქმნას სასოფლო-სამეურნეო თანხიდგან საჭირო ფული.

## ფელეტონი

### რ უ ს თ ა შ ო რ ი ს

ქართველი ვაჭრები.—მოვაჭრე ქართველი ებრაელები.—ღვინის მოვაჭრეები კახურის ღვინის სახელით.—დ. ზ. სარაჯიშვილის ნაწარმოები „კონიაკი.“—დამლუპველი სიცრუის ზღვა.

წინა წერილში მხოლოდ გაკვრით მოვიხსენიეთ რუსეთში მყოფი ჩვენებური ვაჭრები, დღეს-კი გვსურს ცოტათი ვრცლად შევეხოთ ამ საგანს.

რუსეთში მყოფი ქართველი—მოვაჭრეები განიყოფებიან სხვა-და-სხვა ხარისხად, რომელთა შორის უმთავრესი ადგილი უჭირავთ ღვინის ვაჭართ. ქართველ ვაჭართა რიცხვი ბათუმიდგან დაწყებული პეტერბურგამდის დღითი დღე იზრდება. შავის ზღვის ყველა ნავთ-სადგურიან ქალაქებში ჰნახავთ ქართველ ვაჭარს. ოდესაში ქართველების საკომისიონერო კანტორებიც არსებობს ამ ბოლო დროს. ერთის სიტყვით, დღეს არ ითქმის—ქართველები რუსეთში ვაჭრობას არა ჰკიდებენ ხელსაო. ეს აგრე გახლავთ, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ვაჭართა გუნდის არსებობა (მარტო არსებობა) ჯერ კიდევ არას ნიშნავს. როგორ მოქმედობენ ეს ვაჭრობის მიმდევარნი, როგორი გზა აურჩევიათ სავაჭროდ—აი უმთავრესი საკითხი.

სამწუხაროდ, ამ მხრივ დიდ ნაკლს ვხედავთ. ოდესის ახალგაზდათა საკომისიონერო კანტორაზედ საზოგადოდ და ამ საქმის მოთავეთა შესახებ ჯერ-ჯერობით კარგის მეტი არა გვეთქმის რა. ამ დაწესებულების უმთავრესი საგანია შუამავლობა გაუწიოს ქართველ ვაჭრებს რუს ვაჭრებთან (რუსეთში). როგორც სარწმუნო წყაროებიდგან გავიგეთ, ამ მხრივ ოდესის ქართველთა საკომისიონერო კანტორა, საჯაყელის თაოსნობით, საუცხოვოდ და ჩვენ წვრილ ვაჭართა სასარგებლოდ მოქმედობს.

რაც შეეხება ღვინის ვაჭრებს, მაგრამ ვიდრე ამათზე ვიტყოდეთ რასმეს, ჩვენებურ ებრაელ ვაჭრების შესახებ ვსთქვათ ორიოდე სიტყვა. ამათ გუნდს უმთავრესად ქუთაისელი ებრაელები შეადგენენ. ესენი მთელ რუსეთის რკინის გზებზე არიან მოფენილნი: რომელ რკინის გზის ვაგონებში არ შეხვდებით იმერელ-ებრაელს, რომელ შავის ზღვის ხომალდზედ არა ნახავთ. იმერელი-ებრაელები კავკასიურ ნაწარმოებით ჰვაჭრობენ, მაგრამ ეს უფრო პირბადეა და სახელი, ვიდრე სინამდვილე. ჰხედავთ ებრაელ ვაჭარს ვაგონში ან ხომალდზედ და გესმის ებრაულ კილოზე ძახილი: „ნასტიაშჩი ბუხარსკი ტავარ, კავკასკი ტავარ, კუპი ბარინ... სმატრი, ეიბოხ ზალიფონცკი ტავარ...“ რასაკვირველია, ღიმილით გადახედავ ასეთ ვაჟბატონს, რომელიც იმერულ ტანისამოსით არის მორთული. დაინტერესებული მგზავრი ხშირად ეკითხება ხოლმე: „ТЫ КТО САМЪ?“ „ია, ჩერკეს, ბარინ, ნასტაიში ჩერკეს“-ო, მიახლის ხოლმე. როგორც ეს პასუხია მართალი, ისე მისი საქონელი—„ჟივოი კავკასკი ტოვარი“.—ამ ებრაელებს კავკასიის საქონლის სახელით დააქვთ მოსკოვში დამზადებული საქონელი და ასაღებენ ჩვენებურ ნაწარმოების სახელით. რად ჰშვრებიან ამას? განა ჩვენებური ნაწარმოები იმდენად მცირეა, რომ არ ეყოფა გასასყიდად, მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებსო?—იკითხავთ. ჩვენებური ნაწარმოები-კი იშოვება, მაგრამ იმერელ-ებრაელს რა ხელს მისცემს ხომალდზედ ან რუსეთის ვაგონებში იგი გაჰყიდოს... ჩვენი ნაწარმოები მისცემს ათ შაურ მოგებას, მოსკოვის „ყალბი ჩვენებური ნაწარმოები“-კი ხუთ მანეთს და ხშირად თუმანსაც. ვინც იცის, რას იყიდის, მაგრამ ამათ ხომ არც ჩვენი ებრაელები ეძებენ.

თუ იმერელი—„ნასტაიში ჩერკეს“ ასე იქცევა, ამათ ღვინის ვაჭარი „გრუზინებიც“ არ ჩამორჩებიან. ამათ შესახებ არა-ერთხელ ყოფილა ლაპარაკი ჩვენ ჟურნალ-გაზეთობაშიაცა და რუსეთის საუკეთესო გაზეთებშიაც, მაგრამ ორიოდე სიტყვას კიდევ შევწირავთ.

როგორც ვთქვი, უმთავრესი ადგილი რუსეთში ქართველ ვაჭართა შორის ღვინის სარდაფის პატრონებს უჭირავთ. ამათ შორის შედარებით ორიოდე თუ ნამდვილ ჩვენებურ ღვინოს აწვდის საზოგადოებას, დანარჩენები მთელის წლის განმავლობაში ნახევარ ვედრო ღვინოს არ მოიტანენ ჩვენის კურთხეულ ქვეყნიდგან და, ამისდა მიუხედავად, ათას ვედრობით ასაღებენ „натуральное кахетинское“ ანუ „кавказское“, „имеретинское вино“-ს და სხვ. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში მხოლოდ ბოთლს აკრავს „кахетинское“, თორემ შიგ ბოთლში—„ღმერთმა დაიცვასო“, გურულისა არ იყოს. მიიღებენ ბესსარაბიიდგან ბოჭკებით ღვინოებს თუ არა, მეორე დღესვე ასეთ განცხადებებს წაიკითხავთ ადგილობრივ გაზეთებში: „такая то фирма получила на дняхъ изъ собственныхъ садовъ (въ Кахетіи—на Кавказѣ) 1000 ведеръ кахетинскаго вина“. აქაც ის გვეთქმის, რაც იმერელ ებრაელების შესახებ. ვინც იცნობს კახურ ღვინოს, რას იყიდის, მაგრამ ისინი არც უნდათ ამათ. ასეთი გახლავთ ვაჭრობის ქვედა პირი

*** ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში ამ წელს სწავლა დაამთავრა სულ 23 ყმაწვილმა; მათ შორის თორმეტი ქართველია, სამი რუსი, ერთი თათარი, ერთი ბერძენი, ერთი ოსი, ერთი იტალიელი და ოთხი სომეხი.

*** „მთავრობის კანონ. და განკარგულებათა უწყებაში" გამოცხადებულია, რომ ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთს ადგილში პოლიცია იქმნას გაძლიერებული და ის, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზის ნახევარ-სადგურს ჩაქვაში ამიერიდგან საქონელიც მიიღებოდეს გასაგზავნად და მგზავრთაც ეძლეოდეთ ბილეთები.

*** ბაქოს საბუჰალტერო კლასებში წელს 13 ყმაწვილს დაუმთავრებია სწავლა. ამათ შორის ქართველი ოთხია: გოგუაძე, ლოლაძე, გოროსია და ცერცვაძე.

*** ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის ასრულებელს ბ-ნს სვეჩინს ყურადღება მიუქცევია იმ გარემოებისთვის, რომ ქალაქში ნახშირი მენახშირეთა სურვილისამებრ ისყიდება და ამის გამო წინადადება წარუდგენია ქალაქის მოურავისათვის, რომ ქალაქის საბჭოს წარუდგინოს გარდასაწყვეტად—ნახშირზედ გადაჭრილი ფასი იქმნას დადებული და ამასთანავე, თუ შეიძლება, სავალდებულოდ გაეხადონ მენახშირეებმა ნახშირი დაკანონებულის საწყაოთი გაჰყიდონ ხოლმე, რომელსაც ქალაქის გამგეობის დამღა უნდა აჯდეს.

*** რიაზანის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი ო. პ. ფონ-გლენი ტფილისის ჟანდარმთა საპოლიციო სამმართველოს უფროსად იქმნა დანიშნული.

*** კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგეობას შუამდგომლობა დაუწყვია იმის გამო, რომ სხვა-და-სხვა ადგილას უცბად გადამდებ სენის გაჩენის დროს გამოცდილის მკურნალის გასაგზავნად და სხვა ამ გვარ მოულოდნელ ხარჯის გასაწევად 1000 მან. იქმნას გადადებული.

*** ქალაქის ელექტრონით განათების შესახებ „გელიოსის" ფირმის მიერ წარმოდგენილი პირობები უკვე განიხილა კომისსიამ და გარდასწყვიტა, საბჭოს წარუდგინოს „შუკერტისა და ამხ." პროექტთან ერთად.

*** სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა ბ-ნმა სტეფანოვმა ქალაქის გამგეობას პროექტი წარუდგინა იმის შესახებ, რომ ქალაქის დედათა სიფილიტიური სამკურნალო გადიდებულ იქმნას და ამისათვის საჭირო ხარჯიც იქმნას აღნიშნული.

*** როგორც გაზ. „Кавказъ"-ს სწერენ, 24—25 მაისს სოფ. ჩასოვაიაში (რაჭის მაზრაშია) ვიღაც გორის მაზრელს ოსს ზარეშვილს მოუკლავს ურიადნიკი მოსე ასათიანი და მძიმედ დაუჭრია დარაჯი რუსიშვილი იმ დროს, როდესაც ეს უკანასკნელნი თავისს თანამდებობას თურმე ასრულებდნენ. როგორც გამოკითხვამ აღმოაჩინა, ზარეშვილს წინადაც ჰყოლია კაცი მოკლული და პოლიციას თურმე ემალებოდა. საწყალს ასათიანს დარჩენია ახალ-გაზრდა ცოლი და პატარა ბავშვი.

*** როგორც შევიტყეთ, გორის მაზრაში ამ უკანასკნელს დღეებში დიდი წვიმები ყოფილა. გუშინ მტკვარმა თითქმის ორს არშინზედ მოიმატა.

*** როგორც სოფ. სურებიდგან (ოზურგეთის მაზრა) იუწყებიან, ამ დღეებში იქ მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობის ინსტრუქტორებს ბ-ნს ქუთათელაძესა და გორბაჩევს ი. ბარამიძის ფუტკრის გასინჯვის დროს ტობახჩაში ფუტკრის სენი „სიდამპლე" აღმოუჩენიათ. დაზიანებული თაფლის ფიჭა მიკროსკოპიულად გასასინჯად ტფილისში გამოუგზავნიათ.

*** გუშინ, 2 ივნისისათვის, ქალაქის გამგეობაში დანიშნული კრება ქალაქის სასწავლებელთა კომისსიისა, რომელსაც უნდა განეხილა მიმდინარე საქმეები, არ შესდგა. კრება შემდეგ დროისთვის გადაიდვა.

*** როგორც შევიტყეთ, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების"-თვის მახვილ ივანეს ძეს თამამშევს შეუწირავს 1828 წელს შედგენილი საქართველოს რუკა. ეს რუკა ბ-ნ თამამშევს შეუძენია გერმანიის ქალაქ ბადენ-რომზენში. ბ-ნმა თამამშევმა ამას წინადაც შესწირა „საზოგადოებას" საქართველოს შესახებ ძველი ხელთ-ნაწერები.

*** ქუთაისი. 29 მაისს ადგილობრივის არტისტ-ქალის ქ-ნ ნ. ჩხეიძის თაოსნობით გაიმართა თეატრში წარმოდგენა. წარმოადგინეს დრამა ა. ყაზბეგისა „კონსტანტინე ბატონიშვილი". სამწუხაროდ, პიესამ მეტის მეტად ცუდად ჩაიარა, რაიც აიხსნება იმ გარემოებით, რომ გარდა თვით ქ-ნ ჩხეიძისა, არც ერთმა მოთამაშემ როლი არ იცოდა. საზოგადოება ძალიან ნაკლებად დაესწრო, და კინაც იყო, ისიც სიამოვნებას მოკლებული დაბრუნდა სახლში. ჩვენი გულწრფელი რჩევაა, ქ-ნ ჩხეიძისამ ჯერ-ხანობით წარმოდგენების თაოსნობას თავი დაანებოს, ვიდრე გამოიცდებოდეს და სცენის მოთხოვნილებას საფუძვლიანად შეისწავლიდეს. ამ არტისტმა ქალმა არ უნდა დაივიწყოს ის, რომ თეატრი ხელოვნების ტაძარია და ამ ტაძარს მისი მსახური სიფრთხილით და მოწიწებით უნდა ეკიდებოდეს.

*** იქიდგანვე. 29 მაისს რეალურ სასწავლებლის დიდს ეზოში ქ-ნ ნაზაროვის და ანჯაფარიძის თაოსნობით გაიმართა ყრმათათვის საჭიდაობა-თამაშობა. ყმაწვილები გატაცებით მიეცნენ სხვა-და-სხვა თამაშობას, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ მასწავლებელი ქალები და კაცები. თამაშობის დროს სამხედრო მუსიკა უკრავდა. თამაშობის მოთავენი ყმაწვილებს სხვა-და-სხვა ხილეულობით გაუმასპინძლდნენ. შემოსავალი 150 მანეთამდეა.

*** ოთხშაბათს, 31 მაისს, საღამოს 8 საათზედ, ელისაბედის ქუჩაზედ წატუროვის სახლში, ახალციხის მაზრის მცხოვრების, აზნაუროვის 7 თვის ბავშვი აკვანში მკვდარი ნახეს. როგორც პოლიციის მიერ მოწვეულ ექიმის გამოკვლევამ აღმოაჩინა, ბავშვი აკვანში დამჩვალა ან იმის გამო, რომ პირაღმა დაუწვენიათ, ან-და თითონ გადაბრუნებულა.

## კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების წევრთა კრება.

ხუთშაბათს, 1 ივნისს, საღამოს 8 საათზედ, მკურნალის ა. პ. არტემიევის თავმჯდომარეობით, მოხდა კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების წევრთა კრება. სხვათა შორის ამ კრებამ მოისმინა კბილის ექიმთა ახლად შედგარის საზოგადოების მოხსენება. კბილის ექიმთა საზოგადოება სთხოვს სამკურნალო საზოგადოებას, რადგანაც იგი ჯერ ნორჩია და სად სხრა არა აქვს კერძო საკუთარი სადგომი დაიქირავოს წევრთა კრებების გასამართავად, სამკურნალო საზოგადოებამ თვეში ერთხელ მაინც დაუთმოს ხოლმე თავისი სადგომი კრებებისათვის. მცირე კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა დაუთმოს ხოლმე სადგომი კრებებისათვის კბილის ექიმთა საზოგადოებას იმ პირობით, რომ აღნიშნულმა საზოგადოებამ მცირეოდენი სასყიდელი გაიღოს.

შემდეგ კრების თავმჯდომარემ ბ-ნმა არტემიევმა განაცხადა: ერთი ექიმი ითხოვს, რომ სამკურნალო საზოგადოებამ დელეგატი გაგზავნოს საერთაშორისო ექიმთა კონგრესზედ დასასწრებლად პარიჟში. ამ საგანმა დიდი კამათი გამოიწვია. წარმოითქვა სხვა და სხვა მოსაზრება, მაგრამ კრება ვერაფერი გარკვეულს აზრს ვერ დაადგა, რადგანაც გამოირკვა, რომ საზოგადოების წესდებაში ამაზე არა არის რა ნათქვამი და ისიც არ იციან, აქვს თუ არა ნება კონგრესზედ დელეგატის გაგზავნისა, ხოლო სანამ ამის შესახებ ცნობებს შეკრებდეთ, კონგრესზე დელეგატის გაგზავნა უკვე დაგვიანებული იქნებაო. თავმჯდომარემ კრებას წარუდგინა აგრეთვე მოხსენება იმის შესახებ, რომ წიგნთ-საცავის საქმე უკედ მოეწყოს კრებამ დაადგინა: გაჰყიდოს რაც ახლა წიგნის საწყობი შეადგენს აქვსთ და იმ ფულს (300 მან.) დაუმატოს კიდევ 100—150 მან. და შეაფონ ნაცვლად ადგილად დასაშლელი წიგნის საწყობი რაფები გააკეთებინოს. შემდეგ ექიმმა დ. ა. გედევანიშვილმა გააცნო დაწვრილებით კრებას სხვა-და-სხვა მეცნიერთა გამოკვლევანი დამბლით ავადმყოფობის შესახებ და მოიყვანა ერთი შემთხვევა თვისი პრაქტიკიდგან, თუ როგორ გადაარჩინა მან ანტიტოქსინის შესხურებით ერთი დამბლად დაცემული მალაკნის ქალი. დასასრულ ექიმებმა დ. მ. მონინმა და მ. ა. მირაქოვმა წაიკითხეს თვისი მოხსენებანი ახლად-დაბადებულ მახინჯ ბავშვთა შესახებ.

ამის შემდეგ კრება დაიხურა და შემდეგი საქმეების განხილვა სექტემბრამდე იქმნა გადადებული.

## წერილი დ. სამტრედიიდგან.

ჩვენს დაბაში გამრავლდნენ დოღები, ქეზის ძაღლები და როსკიპი ქალები. დოღები ორმოცს სთხრიან დუქნების უკან და ტლაპო-წუმპეებით სწამლავენ უმისოდაც მოწამლულ სამტრედიის ჰაერს. ძაღლებს მოუყრიათ თავი საყასბოების წინ, ქუჩაში, და ერთი კაიკაცს ხშირად იკბინებიან, თითქოს არეულობა უნდა მოახდინონ მეყასბეებთან, ხორცი რომ გაამძღრეთ, ძაღლს ვეღარ ვშოულობთო. ზნე-დაცემული ქალები-კი მიმალულ-მომალულად დაბის განაპირას სამიკიტნოების თავშესაფრებში და არდნის ხმაზედ „ახ ზარემ, ზარემ ტი სლოვე დალა"-ს და „სულიკოს" გაიძახიან, ამით ახალგაზრდებს და, ხანდისხან, მოხუცებსაც ჰხიბლავენ, იტყუილებენ, ჯიბეს უცარიელებენ და ასე ისტუმრებენ. ამას წინად ერთმა ამგვარმა უპატიოსნო ქალმა ერთ კაცს ასი მანეთი ამოაცალა ჯიბიდგან სასტუმროს ოთახში. ორი-სამის წლის წინად ერთმა ბოქაულთაგანმა ასეთი უზნეო ქალები დაიჭირა და გაჰგზავნა თავ-თავიანთ საზოგადოებაში, მაგრამ ისევ გაჩნდნენ ახლა, რადგანაც დღეს ყურადღებას არავინ აქცევს.

17 მაისს ჩვენს დაბაში, ერთი ვერსის მანძილზედ რკინის გზის სადგურიდგან, ფოთის რკინის გზის დაწყების მახლობლად, მაჭარაძის სამიკიტნოში, შემდეგი მკვლელობა მოხდა: რაღაც ამბავის მიუცემლობისა გამო მედუქნეს გაეკიდა მეზობელი ხოხელი სანაძე და არდნაც წაერთმია. სანაძეს ამის გამო განეზრახა მედუქნე მაჭარაძის მოკვლა; ღამის 12 საათზედ მისულიყო დუქანში, შესულიყო იმ ოთახში, სადაც მედუქნე მაჭარაძე იძინებდა ხოლმე; მაგრამ იმ ღამეს მედუქნეს დუქნის უკან, ბაღჩაში, დაეძინა და მის ოთახში-კი მისი მეარღნე, ვიღაც ლეჩხუმელი კაჭკაჭაშვილი დაწოლილიყო; გამძვინვარებულ-განრისხებულ სანაძეს კაჭკაჭაშვილი მედუქნე მაჭარაძე ჰგონებოდა და საბრალოსათვის დაეშინა თავში ხანჯალი, შემდეგ დაემტვრია, თუ რამ მოიძებნებოდა დუქანში, და-

---

და სიყალბით—სასიქადულო ფირმით სიგლახის გასაღება ჯიბის გასასქელებლად. მახლას!..

მთელს რუსეთის იმპერიაში დირსეული სახელი აქვს მოხვეჭილი პატივცემულ დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის ვაჭრობას, რომელის კავკასიურ კონიაკსაც რუსეთის ყველა დიდ ქალაქსა და საუკეთესო მაღაზიებში იპოვით. ყველა სიამოვნებით ჰყიდულობს და ჰყიდის, რადგან მყიდველი და გამყიდველი ნამდვილს კონიაკს ჰხედავს და არა ყალბს. სარაჯიშვილის კონიაკს დიდი ბაზარიც აქვს მოპოვებული. ეს არც გასაკვირალია, რადგან სინამდვილე, სიკარგე და ღირსება სულ სხვაფრივ ჰმოქმედობს. ასეთი ვაჭრობა დღითი-დღე გაიზრდება და გაფართოვდება. ისეთი ყალბი-კი, როგორც იმერულ-ებრაული და ღვინის ვაჭართა მოქმედებაა, თავისს შექმნილ სიცრუის ზღვაში თითონვე დაიღუპება. ეს აგრე იქნება, მაგრამ სავალალო ის არის, რომ ჩვენი საზოგადო ინტერესიც ბევრს ჰკარგავს ამ დროს. ცრუ ვაჭბატონების წყალობით გაფუჭებულ სახელს ბაზარზედ ადვილად ვერ გავასწორებთ. ჯერ საქმე აგრეა და ღმერთმა ჰქმნას, რომ ახლო მომავალში უკეთესი ვითარება დამყარდეს და აქაურ ვაჭრებს თვალი აეხილოთ.

მალაქია ბოლქვაძე

## გულ-ახდილი მუსაიფი ზოგიერთ საჭირ-ბოროტო საქმის გამო

(ჩვენის ახალგაზრდობის საყურადღებოდ)

(შემდეგი *)

რა დაუჯდება ქსენონი საზოგადოებას, რომელიც 1500 კომლისაგან შესდგება? 3,000 მანეთზედ მეტი არა. ექიმს თვეში 100 მ., სულ წელიწადში 1200 მ., ორი ფერშალი დაჯდება წელიწადში 600 მანეთი, ბებია-ქალი 300 მ., შეიძლება იშოვოს კაცმა ისეთი ქალი, რომელმაც ბებიობაც იცოდეს და ფერშლობაც; მაშინ ხარჯი 200 მანეთით მაინც შემცირდება. სახლის ქირა, ვთქვათ, 200 მ., მოსამსახურეს—180 მ., შეშისა და განათებისა—100 მ., წამლის ფასი წელიწადში 400 მ., სულ 2,980 მ. თუ ერთი ფერშალი იქმნა და ფერშლობის მცოდნე ბებია-ქალი წლიური ხარჯი 2,780 მ. იქმნება. ქსენონის აფთიაქის მოწყობას, სადოსტაქრო იარაღებისა და სხ. შეძენას დასჭირდება 400 მან. *) შეიძლება სთქვას ზოგიერთმა, რომ 400 მ., წამალი ვერ დააკმაყოფილებს 1,500 მოსახლესაო, მაგრამ გამოცდილებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ყოველ წლობით 400 მან., გამოღება წამლისათვის ერთს დროს მდიდარს აფთიაქს შეჰქმნის. წამლებს ფერშლები დაამზადებენ, როგორც არის მიღებული სახელმწიფო ქსენონებში. მაჩხაანის კერძო ქსენონს დიდ-ძალი ხალხი აწყდება (6,000 კომლი), მაგრამ წამლის ფასი წელიწადში არ აღემატება 1,000 მანეთს. 1,500—2,000 კომლს ძლიერ კარგად ეყოფა 400 მ. წამალი. რადგან 2,000 კომლში ყველანი ერთნაირის ქონებისა და შეძლებისები არ არიან, სამართლიანობა მოითხოვს გარდასახადი შეძლების შესაფერისად განაწილდეს, კომლზე 1—5 მანეთამდე, რადგან სამღვდელოება, შეძლებული გლეხობა და თავად-აზნაურობა ადვილად გადიხდიან 5 მან., მეტადრე თუ ქსენონის ახლო იმყოფებიან. უფრო მომეტებული ნაწილი 1 და 2 მანეთის გადამხდელი იქმნება. ავადმყოფები გაისინჯებიან ქსენონში, მიიღებენ წამალს უსასყიდლოდ. ქსენონში იქმნება რამდენიმე საწოლი ძლიერ გაჭირვებულ ავადმყოფებისათვის, ხოლო საჭმლისათვის ზრუნვა მშობლების საქმე უნდა იყოს. თუ ექიმი მიიწვიეს სახლში ამისათვის დადგენილი იქმნება 50 კ.—2 მან. გარდასახადი. მხოლოდ ვფიქრობთ და ეს ფიქრი, თუ სოფლების მდებარეობას გავითვალისწინებთ, უსაფუძვლო არ არის,— რომ ექიმს საკუთარი ეტლი უნდა ჰქონდეს. ამ ნაირად მცხოვრებლებს ექიმის მოყვანისათვის დაეხარჯებათ ის, რაც ექიმისათვის მარტო ეტლის დაქირავება ჰღირს.

ჯერ-ჯერობით გვაქვს განზრახული კერძო ქსენონის დაარსება დიდ-ჯიხაიშში. მონაწილეობას მიიღებენ ის სოფლები, რომლებიც ჯიხაიშზედ ექვს ვერსზედ მეტის მანძილით არ არიან დაშორებულნი. შემდეგში იმედი გვაქვს, რომ კულაშიც მოისურვებს ამგვარის ქსენონის გამართვას, მოისურვებს ამას საჭილავოც, სადაც დიდი გაჭირვებაა უექიმობის გამო. ამგვარად, დახარჯავს-რა 1500—2000 კომლისაგან შემდგარი საზოგადოება 2700—3000 მანეთს, საკუთარი ექიმი ეყოლება და თან საკმარისი წამალიც ექმნება, რომელზედაც მარტო საზოგადოებას ეხლა 3000 მან. ეხარჯება წელიწადში და ექიმი და ფერშლებიც რომ ვიანგარიშოთ, გაცილებით მეტი უჯდება, თუმცა თავისს დროზედ არც ექიმი ჰყავს და არც ფერშალი. უდროოდ მოყვანილი ექიმი ხომ ვერას გააკეთებს, სენს ვერას დააკლებს. რამდენი ადამიანი იხოცება უექიმობის გამო, ზოგს ფულიც ბევრი დაუხარჯავს წამალზედ, მაგრამ ეს გვიანი ყოფილა და ადამიანთან ერთად მთელი ქონებაც ტყუილ-უბრალოდ დაღუპულა! მხოლოდ მაგალითია საჭირო, საზოგა-

*) იხ. „ივერია" № 116.

*) ამ ფულის გარდახდა რამდენმამე კაცმა იკისრა, თუ დიდი ჯიხაიში კერძო ქსენონს დაარსებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩუხა ოთხი არშინი და ხოხში წასულიყო. მეორე დღეს იქ გამოცხადებოდა პოლიციის ბოქაული და ელიარებინა თავისი დანაშაული. სატოდავე გაჭკაჭიშვილი იმ ღამესვე გარდაიცვალა; იგი დაასაფლავეს დაბა სამტრედიის ეკკლესიის გალავანში. 21 მაისს მოვიდნენ გამომძიებელი და ქუთაისის მაზრის ექიმი მოკლულის გვამის შესამოწმებლად.

სამტრედიელებმა დაადგინეს განაჩენი აქაურ ერთ-კლასიან სამინისტრო სასწავლებლისათვის საგონ ქვით-კირის შენობა; ერთი ნაწილი ადგილისა უკვე იყიდეს და დანარჩენიც ბ-მა სიხარულიძემ შესწირა. შენობა ორის წლის ვადის განმავლობაში უნდა დაამთავრონ. დღეს სასწავლებელი მეტად ხელ-შემლილია, რადგანაც იგი დაქირავებულს სადგომშია, მოსამსახურე არა ჰყავს და არც შეშა აქვს საკმაოდ.

ჩვენის დაბის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სძინავს; მკითხველები ნაკლებად ჰყავს და ანკი რა წაიკითხონ, როდესაც არაფერია შიგ. მას არა აქვს საკუთარი ოთახი, არა ჰყავს პატრონი, მოთავსებულია გ. კალამის წიგნის მაღაზიის ერთს კუნჭულში და ბევრმა არც-კი იცის მისის არსებობის ამბავი. თუ არა ვცდებით, 120 მანეთს იხდის სამტრედია მის შესანახად წელიწადში. ნეტა რას ჰხმარდება ეს ფული?..

ვლადო ბზვანელი

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. ძირაგეული** (რაჭა). ჩვენი სოფელი ამ ჟამად დიდ გაჭირვებასა და სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი. წარსულ წელს საერთოდ მთელ რაჭაში ისეთი ცუდი მოსავალი იყო სიმინდისა და პურისა, რომ თითოეულს მკომურს არ მოსვლია ორის თვის სარჩო. ამის გამო აიწია სიმინდის ფასმა: ფუთს მანეთ ნახევრ ვერა ვშოულობთ. მაგრამ სადა გვაქვს ფული? სოფელს ფული აქვს და ეს ფული-კი ამისთანა გაჭირვებაში ვერ მოგვიხმარია. ამ თერთმეტის წლის წინად სადმელის საზოგადოებას (რომელსაც ს. ძირაგეულიც ეკუთვნის) ჰქონდა სოფლის სასამართლოსთან დაარსებული სიმინდისა და პურის მაღაზია. ვისაც დააკლდებოდა სარჩო, ამ მაღაზიიდგან სესხულობდა და მომავალ წელს, თუ რიგიანი მოსავალი იქნებოდა, ისევ უბრუნებდა მეღავათიანის სარგებლით. თუ ისევ ნაკლები მოსავალი იქნებოდა, მაშინ სარგებელს დაიწერდნენ, მაგრამ იმ პირობით-კი, რომ ორის წლის განმავლობაში უნდა გადაეხადნათ თავნიც და სარგებელიც. მაგრამ რადგანაც მაღაზიას ხეირიანი მმართველი არა ჰყავდა და უთავბოლოდ იბნეოდა ხორბალი, ამისათვის იძულებული გახდა სოფელი გაეყიდნა მაღაზიის პური, ექცია ფულად და შეეტანა ქუთაისის ხაზინაში. მას დღეს აქეთ დაადგინა სოფელმა, რომ თითოეულმა მკომურმა სიმინდისა და პურის მაგივრად გადაიხადოს წელიწადში ორ-ორი აბაზიო. ეს ფული იკრიბება უოკველ წლობით და ემატება ზემოხსენებულს თანხას ქუთაისის ხაზინაში. მაგრამ ჩვენმა საზოგადოებამ დღესაც არ იცის, თუ რამდენია სოფლის ფული ხაზინაში. აი გხლავთ, ამ სიმშილის დროს, გვჭირდება ეს ფული, რომ ჩვენმა დაარსებულმა თანხამ ცოტად თუ ბევრად გაგვიმართოს ხელი. სამწუხარო ის არის, რომ სოფლის მოხელეები თუ არაფერს ჰზრუნავენ სოფლის სასარგებლოდ, სოფელში ხომ მოიპოვება ორიოდე რიგიანი კაცი; ისინი რატომ ხმას არ იღებენ და არ აცნობებენ მთავრობას სოფლის გაჭირვებას, რომ მთავრობამ სოფელს მისივე ფული მიაშველოს.

16 აპრილს, ახალ კვირას (კვირაცხოვლობას), აქ ერთი უბედურება დატრიალდა. აზნაური პეტრე ჯაფარიძე თავისის ძმით სარდალითა და ძმისწულ პლატონით სტუმრად იყო სოფელ ამბროლაურში პართენ სვანიშვილისას. სტუმრობის შემდეგ, პეტრე დაბრუნდა შინ სოფელ ძირაგეულში თავისის ძმითა და ძმისწულით. მიადგნენ რიონს და გასძახეს მებორნეს. რადგანაც ვერ გააგონეს, გაჯავრებულმა პეტრემ შეაგდო ცხენი ადიდებულს რიონში. ჩქარმა მდინარემ ცხენი უირაზედ გადაატრიალა და პეტრე ძირს მოიტანა. ცხენი გავიდა ნაპირზედ, მაგრამ პეტრე-კი დაირჩო. თუმცა ბევრი ღონისძიება იხმარეს დამრჩვალის საპოვნელად, მაგრამ დღესაც ვერ უპოვნიათ.

სიმონ ბოჭორიშვილი

# უცხოეთი

—

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ბევრსა სჯერა, რომ ინგლისს-ტრანსვაალის ომი პრეტორიის აღებით არ დასრულდებაო. სხვათა შორის ამავე აზრისაა ევროპაში მყოფი ტრანსვაალის ელჩი ლეიდსი. გაზეთ „Petit bleu"-ს სიტყვით, ლეიდს უთქვამს, რომ ბურებისათვის ნამდვილი, თავ-განწირული ბრძოლა ეხლა იწყებაო. ჩვენ მთავრობას ორი გეგმა ჰქონდა შემუშავებული. პირველის გეგმით, განზრახული იყო პრეტორია არ დაეთმოთ მტრისათვის, მეორე გეგმით-კი პრეტორიისთვის თავი უნდა გაენებებინათ, მთაში გახიზნულიყვნენ და იქ გაეწიათ წინააღმდეგობა მტრისათვის. მთავრობამ და ჯარის წინამძღოლებმა ეს მეორე გეგმა არჩიეს პირველს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ პრეტორიაში დიდ ხანს გამაგრება შეუძლებელი იყო: დღეს არა ხვალ ინგლისელები მაინც აიღებდნენ ამ ქალაქს, მთების აღება და იქ ჩვენის ჯარის დამარცხება-კი ეგრე ადვილი არ არის. ამას გარდა პრეტორია კარგა მოზრდილი ქალაქია, იქ ქალები, ბავშვები და მოხუცებულნი არიან და ომის დროს ისინი დიდ ტანჯვას გამოივლიდნენ. მე იმედი მაქვს, რომ მთაში ომს რამდენსამე თვეს განვაგრძობთ, მანამდე-კი საქმე სხვანაირად დატრიალდება და პოლიტიკაში ცვლილება მოხდებაო.

— როგორც „Daily Mail"-ს პრეტორიიდგან ატყობინებენ, სენეკალის მახლობლად სასტიკი ბრძოლა მომხდარა. ამ ბრძოლის შესახებ დეპეშები მოკლედ იუწყებოდნენ. იგი 16 მაისს მომხდარა. ბურებს ტყვედ წაუყვანიათ 480, მოუკლავთ—36 და დაუჭრიათ—130 ინგლისელი. მეორე დღეს ბურების ჯარს ხელ-ახლა გაუმარჯვნია ლინდლეისთან. როგორც „ლაფონტენის ბიუროს" დეპეშა იუწყება, ამ ბრძოლაში ორანჟის რესპუბლიკის პრეზიდენტს შტეინსაც მიუღია მონაწილეობა. ამ ჟამად შტეინი კრონსტადტის აღმოსავლეთითაა და იქ კარგა მოზრდილ რაზმს წინამძღოლობს. ამ რაზმს დაუქცევია რკინის გზის ლიანდაგი კარგა დიდს მანძილზედ მდ. ვაალიდგან დაწყობილი.

— სამხრეთ აფრიკის მოგზაური ჯემს ბრეისი ასე აღწერს ტრანსვაალის სატახტო ქალაქ პრეტორიას, რომელიც ამის წინად ინგლისის ჯარმა აიღო: „პრეტორია გაშენებულია 1843 წელს, ხოლო სატახტო ქალაქად აღიარებულია 1863 წელს. ეს პატარა ქალაქი დასახლებულია თეთრ-კანიან და შავ-კანიან ხალხით; პირველთა რიცხვი—8000-ია, მეორეთა 4000. ქალაქი მეტად კარგ ადგილზედ მდებარეობს. იგი ბაღებითა და ხეებით არის შემოსილი. პრეტორია არაფრით არა ჰგავს იოჰანესბურგს: იოჰანესბურგში ცხოვრება სდუღს და გადმოდის, ქუჩებში საოცარი მოძრაობაა, ხალხი მიდი-მოდის, მუშაობს, საქმობს, პრეტორიაში-კი მშვიდობიანობაა და მყუდროობაა, ასე რომ იგი აგარაკს უფრო ჰგავს, ვიდრე სატახტო ქალაქს. პრეტორიის თვალს პარლამენტის შენობა შეადგენს. ეს შენობა რესპუბლიკას 2 მილიონ მანეთად დაუჯდა. დარბაზი, სადაც ფოლკსრაადი იკრიბება, უზარ-მაზარი რამ არის. პრეტორია უმთავრესად ბურებით არის დასახლებული და იქაურები უფრო ჰოლანდიურად ლაპარაკობენ. მგონი არც ერთ ქალაქში არ არის იმდენი ექიმი, რამდენიც პრეტორიაში. ამის მიზეზი ოქროს მადნებია, რომელთა გამოც აურებელი საჩივრებია ხოლმე. საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ თითქმის ყველა ექიმები ინგლისელები არიან".

—

**ჩინეთი.** უოველდღე დეპეშებსა და გაზეთებს ახალ-ახალი ამბები მოაქვთ ჩინეთიდგან „დიდის მუშტის" მიერ ჩადენილ საქმეების შესახებ. ეს სექტა თანდათან უფრო ძლიერდება და იზრდება. უბრალო მცხოვრებლებს გარდა მომხრეობას და დახმარებას „დიდ მუშტს" ჯარის-კაცებიც-კი უწევენ ხოლმე. მით უფრო საშიში ხდება ჩინეთში მყოფ უცხო-ქვეყნელთა მდგომარეობა, რომ დიდნი სახელმწიფონი ამ საქმეშიაც ვერ შეთანხმებულან და ერთად ვერ უმოქმედნიან. არც ერთს არ უნდა, მეორემ მეტი ჯარი გაგზავნოს „დიდის მუშტის" წინააღმდეგ და ამით თავისი სიძლიერე აჩვენოს ჩინეთს. როგორც გაზეთები იუწყებიან, რუსეთს განუზრახავს 2000 ჯარის-კაცი გაჰგზავნოს პორტ-არტურიდგან, მაგრამ ინგლისი და იმის მოხებით იაპონია წინააღმდეგნი გამხდარან ამისა. ამბობენ, ეხლა ამის გამო დიდი დიპლომატიური მოლაპარაკებაა რუსეთსა, ინგლისსა, იაპონიასა და ჩინეთს შორისაო.

—

**ავსტრია.** არ იქმნა, ავსტრიის პარლამენტი მშვიდობიანობა და ავსტრიის სხვა-და-სხვა ერების კიდევ მორიგება და თანხმად მოქმედება არ ეღირსათ. ჯერ იყო და ობსტრუქციით ნემეცებმა გააფუჭეს საქმე, ახლა ამასვე ჩეხებმა მიჰყვეს ხელი და, მათდა სასახელოდ უნდა ვსთქვათ, გადააჭარბეს კიდეც ამ საქმეში ნემეცებს. აი ერთს რუსულს გაზეთს რას სწერენ: „რეიხსტაგის კრება ნაშუადღევის ორ საათზედ დაიწყო. დაწყებისთანავე შეუდგნენ საობსტრუქციო შენიშვნათა და წინადადებათა კითხვას. საღამოს ექვს საათზედ თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ კრებას ვხურავთ. ამ დროს წამოხტა კლერიკალი იელლინეკი და წინადადება შეიტანა, სახელოსნო კანონ-პროექტის განხილვას შეუდგეთო. ჩეხები ამტკიცებდნენ, რომ ამ პროექტის განხილვა კანონის წინააღმდეგიაო. შემდეგ ჩეხმა დალეზალმა ააგლიჯა პიუპიტრს თავი, დალეწა და ნატეხები იქით-აქეთ გაისროლა. დალეზალის მაგალითს სხვა ჩეხებმაც მიჰბაძეს. ამავე დროს ჩეხი სილენი გავარდა გარეთ და წიგნთ-საცავიდგან და რესტორანიდგან მოარბენინა წიგნები, გაზეთები, თიხის ქოთნები და დაურიგა ჩეხებს. მერე სეგნალი სამუსიკო საკრავების მაღაზიებში წავიდა ეტლით და მოიტანა იქიდგან დოლაბანდები, პატარა ზარები, ჟღარუნები, სკრიპკები, გარმონიკები და სხვა საკრავები, დაურიგა ყველა ეს ჩეხებს და ისეთი კონცერტი გამართა, რომ ყველანი თითებს იცობდნენ ყურებში. ამ ჩეხელ დეპუტატთა შორის უფრო ნიჭიერი მემუსიკე კლოფაჩი აღმოჩნდა, რომელიც ხან დოლაბანდზედ უბრახუნებდა, ხან ძალზედ უსტვენდა, ხან კიდევ სკრიპკას აწრიპინებდა. საღამოს რვა საათზედ ჩეხებმა გამარჯვების ნიშნად „ტუში" დაუკრეს. ამავე ხნის განმავლობაში სიმღერა, ღრიანცელი და ყვირილი ერთს წუთს არ შეწყვეტილა. ათ საათზედ მინისტრ-პრეზიდენტი კერბერი იმპერატორთან წავიდა შენბრუნში, მაგრამ რადგან იმპერატორს ეძინა, უნახავი დაბრუნდა იქიდგან. კონცერტი უფრო გაცხოველდა

---

დო მეთაურობის მაჩვენებელი, ისეთი მაგალითი, რომ იგი საზოგადო სარგებლობის მომტანი იყოს, და მაშინ თავს იჩენს მიმბაძავი ძალა, რომელსაც ჩვენი ხალხი კარგ საქმეშიაც ადვილად გამოიჩენს, და მაშინ კერძო ქსენონები სხვა სოფლებშიაც დაარსდება. ეს მით უფრო სახეში მისაღებია, რომ ჩვენში ერობა არ არის, რომელიც საზოგადოდ დიდ ძალასა და მხნეობას იჩენს რუსეთში ხალხის ჯანმრთელობისათვის. მთავრობაც ხელს შეგვიწყობს, რადგან დიდს ყურადღებას აქცევს სოფლების სანიტარულს მდგომარეობას და საშუალება-კი არა აქვს, რადგან ამგვარ დაწესებულების შექმნამ დიდი გზა უნდა გაიაროს და ათასი დაბრკოლება დასძლიოს. კერძო ქსენონები-კი გაიმართება საზოგადოების განაჩენის ძალით, რომელსაც დაამტკიცებს გუბერნატორი და გუბერნიის მმართველობის სამკურნალო განყოფილება. ქსენონის ყოველგვარ საქმეს განაგებენ ექიმი და ხალხისაგან ამორჩეული წარმომადგენელნი; ამ დაწესებულებას ოფიციალური ხასიათი არ ექმნება. საზოგადოება კიდეც უნდა ცდილობდეს, რომ მას ასცილდეს მეტის-მეტი ოფიციალური და კანცელიარული ხასიათი.

დარწმუნებულნი ვართ, ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში რომ დაარსდეს კერძო ქსენონები, ქართველი საზოგადოება, ინტელიგენტი და არა ინტელიგენტი, გლეხი და თავადი, სამღვდელოება და მწერლობა დიდის თანაგრძნობით მიეგებება და თითონაც ხელს მოუმართავს, რადგან იგი სასარგებლო იქმნება ბევრ ნაირად. ჯერ ჯან-საღობას მეტი ნიადაგი ექმნება, სოფელი უფრო სუფთა იქმნება, რადგან ექიმის მოვალეობაა სოფლების სანიტარულად განკარგებაც; ადვილად შეიძლებს სოფლელი ყოველ სატკივრის გამო შესჩივლოს ახლო მყოფ ექიმს და ასეთის გაფრთხილების გამო სენი ფეხს ადვილად ვერ მოიკიდებს; ამასთანავე ხალხი შეეჩვევა სიცოცხლის დაფასებას, რაც ჯერ ჩვენში შეგნებული არ არის საკმარისად და რაც შედეგია განვითარებულის კულტურისა. ევროპაში, სადაც ძლიერ გავრცელებულია ექიმობა, სადაც თითქმის იდეალური კანტონალური ექიმობა არსებობს სათემო, სამრევლო ექიმობა,—უკვე შეგნებულია ადამიანის სიცოცხლის დიდი მნიშვნელობა. სადაც 1,000—2,000 სულს ერთი ექიმი ჰყავს, იქ მართლაც უნდა იყოს შეგნებული სიცოხლის ფასი.

მეორე დიდ-მნიშვნელოვანი თვისებაც ექმნება ამ საქმეს. საზოგადო დაწესებულებას ერთი დიდი პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს; აქ კერძო და საზოგადოებრივი ინტერესი შეთანხმებულა, ან უნდა შეთანხმდენენ და ამას საზოგადოების აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს. იდეალური საზოგადოება ის არის, რომლის წარმომადგენლებს თვისის პირადობის უფლების გაფართოვების სურვილი დიდი აქვთ, მაგრამ ისიცა აქვთ შეგნებული, რომ ჩემის უფლების გაფართოვებამ სხვისი უფლება არ შეჰბოჭოს და გასთელოსო. ამგვარ შეგნებამდის რომ მიაღწევს საზოგადოება, მაშინ ყოველი საზოგადო დაწესებულება, დეპო იქნება იგი თუ ბანკი, ქსენონი თუ სხვა რამე, იხეირებს და კარგს ნაყოფსაც მოიტანს. სნეულება ისეთი რამ არის, რომ აერთებს მდიდარსა და ღარიბს, შთამომავლობით ამაყსა და უშთამომავლოსაც, და კიდევაც ამ საუცხოო ნიადაგზედ შეიძლება უფრო ადვილად ისეთის საზოგადოებრივის დაწესებულების დამყარება, როგორიც ქსენონია, ოღონდ საჭიროა შეგნებულმა ადამიანებმა ამ საქმის გაძღოლა და მეთაურობა იკისრონ. ამ შემთხვევაში ექიმის და საზოგადოების დამოკიდებულება უფრო მეგობრული და მშობლიურია და ექიმიც უფრო იფიქრებს თვისის ადამიანურ მოვალეობის აღსრულებისათვის და ხალხიც უფრო დააფასებს ექიმის ღვაწლს.

დიახ, კერძო ქსენონი იმ გვარი დაწესებულებაა სადაც უფრო ადვილია საზოგადოების ყოველი წევრი შეთანხმდეს და თვით საზოგადოებისა და ექიმის შუა უფრო მტკიცე კავშირი გაიმართოს. კერძო ქსენონების გავრცელება ასწავლის ხალხს სხვა საზოგადო საქმეებშიაც ერთობას. ბევრი საქმეა ჩვენში გასაკეთებელი. საჭიროა სასოფლო ბანკების გავრცელება, რაც მევახშეობას მოსპობს, თუ ბანკი კარგს ნიადაგზედ იქმნება დაყენებული. მეტადრე სასოფლო ბანკები ტფილისის გუბერნიაშია საჭირო. იმერეთში, სადაც სასოფლო ბანკებია, ძლიერ მოისპო დიდის სარგებლით ფულის გასესხება, თუმც ფულის სარგებელი ისეთი დიდი არასოდეს არ ყოფილა ქუთაისის გუბერნიაში, როგორიც ეხლა ქართლ-კახეთშია. საჭიროა აგრეთვე მეაბრეშუმეთა საზოგადოების და სხვაგვარ საზოგადო სავაჭრო ამხანაგობათა დაარსებაც, ხოლო ყოველივე ეს-კი ძალიან ძნელია, თუ ხალხს არ აქვს ერთი მეორეს ნდობა, თავისის კერძო და საზოგადო ინტერესების შეთანხმების, გაერთების უნარი.

ე. ვაშაკიძე

(დასასრული იქმნება)

12 საათზედ. ამ დროს პრეზიდენტის ადგილი დაღლილ პრეზიდენტის მაგიერ ვიცე-პრეზიდენტმა ფუქსმა დაიჭირა. ფუქსს დარბაზში შესვლის დროს ჩუხები ტუშით, სიმღერითა და „ურას“ მახილით მიეგებნენ. ამ დროს ანტისემიტმა კლემტცენ-ბაუერი ყველაზედ უფრო მოუსვენარ ჩეხს დალეზალს კისერში სწვდა და მუშტის ცემა დაუწყო. ორივეს მეგობრები მიეშველნენ და ერთი ზედა-ხორა გაიმართა. კეიზერი მეორედ წავიდა შენბრუნში, როგორც იქმნა გაადგიძა იმპერატორი და ხელი მოაწერინა სესსიის დასრულების დეკრეტზედ. ეს დეკრეტი კეიზერმა რეისსტაგში ნაშუადამევის პირველ საათზედ წაიკითხა. ჩეხების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა“.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

პარიჟში საჯარო ვაჭრობით გაიყიდა სურათები ამას წინად გარდაცვალებულის მხატვარის ქალის როზა ბონერისა. ამ ვაჭრობას აუარებელი ხალხი მიაწყდა თურმე. ყველა სცდილობდა ეყიდნა ერთი სურათი მაინც შესანიშნაეის მხატვარ ქალისა. უმნიშვნელო სურათებშიაც-კი კარგ ფასს იძლეოდნენ. სულ ამ ვაჭრობით შემოსულა 933,341 ფრანკი.

* * *

იტალიანურ „ოფიციალურ გაზეთში“ დაბეჭდილია საყურადღებო სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ, თუ 1890 წლის პირველ იანვრიდგან 1898 წლის 31 დეკემბრამდე რამდენი ხალხი გადასახლებულა ევროპიდგან. პირველი ადგილი გადასახლებულთა რიცხვით ინგლისს უჭირავს. დასახელებულ ხნის განმავლობაში ინგლისიდგან გადასახლებულა 1,645,729 კაცი, ე. ი. წელიწადში 182,858 კაცი. ირლანდიიდგან ამავე დროს გადასახლებულა 429,616 კაცი. იტალიიდგან გადასახლებულა 1,378,013 კაცი, წელიწადში 153,112 კაცი. გერმანიიდგან—536,037 კაცი. რუსეთიდგან გადასახლებულა სულ 445,793 კაცი: 109,415 კაცი—1891 წელს, 85,548 კაცი—1890 წელს, 18,107 კაცი—1897 წელს, 17,792 კაცი—1894 წელს. შვეციიდგან გადასახლებულა 201,173 კაცი; შვეიცარიიდგან—37,015 კაცი, ბელგიიდგან—21,189 კაცი, ავსტრო-უნგრეთიდგან—491,569 კაცი, ესპანიიდგან — 298,648, ნორვეგიიდგან — 83,356 კაცი, დანიიდგან—53,100 კაცი, ნიდერლანდიიდგან—23,350 კაცი, პორტუგალიიდგან—211,745 კაცი. სულ ევროპიდგან გადასახლებულა 5,423,717 კაცი. ამ რიცხვში არ არის ჩათვლილი ცნობები საფრანგეთის შესახებ.

* * *

„Revue hebdom.“-ში დაბეჭდილია წერილი ამ სათაურით: „ცეცხლი და თეატრი“. ავტორი წერილისა დაბეჯითებით ამბობს, რომ ყველა თეატრი ცეცხლის წერაათ. თავისს სიტყვის დასასაბუთებლად ავტორს მოჰყავს მრავალი სტატისტიკური ცნობები. ასის წლის განმავლობაში 1777 წლიდგან 1877 წლამდე დამწვარა სულ 460 თეატრი, აქედგან 31—ლონდონში, 29—პარიჟში, 26—ნიუ-იორკში, 21—სან-ფრანცისკოში, 17 ფილადელფიაში, 11—ბოსტონში, ამდენივე გლაზგოში, 9—ცინცინატში, 8—ახალ-ორლეანში, 7—ბორდოში, 6—ვენეციაში და სხვ. ნიუ-იორკში ამ მე-19 საუკუნის განმავლობაში 30 თეატრს წაჰკიდებია ცეცხლი, პარიჟში—18 თეატრს. ორთა შუა რიცხვით მთელ დედამიწაზედ წელიწადში 16 თეატრი იღუპება ცეცხლისაგან. უკანასკნელ დროს უფრო ხშირად ეკიდება ცეცხლი თეატრებს, ვიდრე წინად ეკიდებოდა, უთუოდ იმიტომ, რომ თეატრი ეხლა ბევრია. 1859 წლიდგან 1860 წლამდე დაიწვა, მაგალითად, 76 თეატრი, 1860—80 წლებში-კი 109 თეატრი. ზოგი თეატრი აშენებისათანავე იღუპება. ბევრჯელ წაჰკიდებია თეატრს ცეცხლი წარმოდგენის დროს. ასეთის ცეცხლისაგან 1751 წლიდგან 1865 წლამდე დაღუპულა სულ 6,600 კაცი.

* * *

ერთ ათინელ მომრიგებელ მოსამართლეს, უკვე ხანში შესულ კაცს, განუზრახავს ცეკვის შესწავლა. ამისათვის ერთ ცეკვაობის მასწავლებლისთვის მიუმართავს. რამდენი არ ეცადა თურმე მასწავლებელი, მაგრამ მოსამართლეს ცეკვაობა მაინც ვერ ასწავლა. ბოლოს რაკი დარწმუნდა თავისს მოწაფის სრულს „უნიჭობაში“, გამოუცხადა, ველარ გასწავლიო. მაგრამ მოსამართლე რის მოსამართლე იყო, რომ საქმე ასე უბრალოდ გაეთავებინა, და მეორე დღესვე უჩივლა ცეკვის მასწავლებელს. სასამართლომ ხანგრძლივის თათბირისა და ბჭობის შემდეგ ასეთი განაჩენი გამოაცხადა: „რადგანაც კარგად აგებულსა და უსნეულო კაცს ყოველთვის შეუძლიან ცეკვის შესწავლა, ამიტომ ცეკვის მასწავლებელი ვალდებულია ასწავლოს მოსამართლეს იმ დრომდე, ვიდრე იგი ცეკვას ისწავლის“. საწყალი ცეკვის მასწავლებელი!

* * *

ამას წინად პარიჟის ერთ სასამართლოში გარჩეულა ორის მკითხავის საქმე. ამ მკითხავებს ერთის მოხუცებულის 70 წლის მანდილოსნისათვის 6000 ფრანკი დაუტყუებიათ. თვით მოხუცებულს უთქვამს სასამართლოში, რომ დამპირდნენ „გულის მეგობარს გიშოვნითო“, მაგრამ ფული დამტყუეს და „მეგობარი“-კი არ მიშოვნესო. სასამართლომ მიუსაჯა ერთს მკითხავს სამის წლით დაპატიმრება საპყრობილეში, მეორეს—6 თვით.

* * *

ბევრსა ჰგონია, რომ ხორცის მჭამელ ცხოველებს შორის ყველაზედ მეტს ლომები და ვეფხვები სჭამენო. ლომი და ვეფხვი დღეში 30—40 გირვანქა ხორცსა სჭამს, თუმცა ერთიც და მეორეც 450 გირვანქას ძლივს იწონის. უფრო მეტსა სჭამენ დათვები. დათვს შეუძლიან ერთ ჯერზედ რამდენიმე ფუთი შესჭამოს. მაგრამ ყველაზედ მეტს მგელი სჭამს. მგელი დიდხანსა სძლებს უჭმელი, მაგრამ როდესაც ჭამას მიადგება, გათავება აღარ იცის. ბევრსა სჭამენ ფრინველებიც. მტრედი, მაგალითად, იმდენსა სჭამს, რამდენსაც თვით იწონის. ფრინველებს კიდევ თევზები სჭარბობენ ჭამაში.

* * *

ამერიკის შეერთებულ შტატების ქ. კორნესვილში სცხოვრობდა ახალგაზდა ქალი, პიანინოს კარგი დამკვრელი, მისს მერი ტატა. დიდი მუსიკალური ნიჭი კარგ მერმისს უქადოდა ამ ახალგაზდა ქალს, მაგრამ ჭლექმა აღარ დააცალა და ადრე მოუსპო სიცოცხლე. სიკვდილის წინად ტატამ ნათესავთა და მახლობლებთ სთხოვა, ჩემი გვამი ჩემს ფორტეპიანოში ჩასდეთ და ისე დამასაფლავეთო. ასეც მოიქცნენ. გვამი ჯერ ზევიდგან დასდეს ფორტეპიანოზედ, ამავე ფორტეპიანოთი სამგლოვიარო საგალობლები დაუკრეს, შემდეგ, როდესაც წესს მორჩნენ, ფორტეპიანოს შიგნიდგან ყველაფერი გამოაცალეს, შიგ ჩასდეს განსვენებულის გვამი და დაასაფლავეს.

## ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

ამ დღეებში წავიკითხეთ წიგნაკი მღ. პოლიევქტო კარბელაშვილისა „ქართული საერო და სასულიერო კილოები“. როგორცა ვცანით, საჭიროა, ეს წიგნი რაც შეიძლება დროზედ იქმნას გადათარგმნილი რუსულს ენაზედ, რომ მუსიკის მცოდნე უცხოელთ, თუნდაც მარტო რუსებს, საშუალება მიეცეთ გაიცნონ ხსენებულის ავტორის შეხედულებანი ქართულ სიმღერა-გალობის წარმოშობისა და განვითარების შესახებ; მით უმეტეს, რომ ამის შესახებ აქამდის სხვა აზრი არსებობს, პირველისაგან განსხვავებული. კარგი იქნება, ავტორმა თითონ იკისროს ეს შრომა და ამასთანავე თავისს შეხედულებას ნოტის მაგალითები დაურთოს და შეეხოს აგრეთვე ნოტების ნიშნებს. ამნაირს შრომას დიდის სიამოვნებით დაბეჭდავს სპეციალური მუსიკალური ჟურნალი „Русская музыкальн. газета“ ნ. ფინდეზინისა, ს.-პეტერბურგში. ვიმეორებთ, რომ თარგმანი ამ წიგნისა ყველასათვის საყურადღებო იქნება.

დიმიტრი არაყიშვილი

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 ივნისი.

**კაპშტადტი.** პირველის მინისტრის სამსახურიდგან გადადგომა შეწყნარებულ იქმნა.

**ლონდონი.** ბულლერს 28 და 29 მაისს მოუკლეს ორი აფიცერი და 26 ჯარის-კაცი და დაუჭრეს ექვსი აფიცერი და 126 ჯარის-კაცი; ორი ჯარის-კაცი სათვალავში აკლიათ.

**მოსკოვი.** ცნობა მოვიდა, რომ მკურნალი კუხარენკო იოგანესბურგში მოჰყოლია ინგლისელებს ტყვედ და სახადით სნეულ ინგლისელებს მკურნალობსო. მკურნალს რობერტსმა მადლობა გარდაუხადა.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იუწყება პრეტორიიდგან: „მეტუენი მოვიდა გოკინსპრუიტამდე, სადაც მშვიდობიანობა არ არის დარღვეული. კრონშტადტში დიდ-ძალი ჯარი გვყავს. მეტუენი ჰბრუნდება მდინარე რენოსტერთან, სადაც დაზიანებულს რკინის გზას აკეთებენ. გუშინ ჩვენ მთელს დღეს ბოტას ვებრძოდით. მტერი დიდად მტკიცედ იბრძოდა; გამილტონმა და პოლკერიმ სერი აიღეს, რომელიც მტრის მხარეს იყო. მტერმა დაიწია აღმოსავლეთისაკენ, მეორე ადგილსიმაგრისაკენ, სადაც აქამდე იმყოფება“.

**ლორენცო-მარკეზი.** პრეტორიიდგან 15 მილის მანძილზედ და დოკკერსონის აღმოსავლეთით 5 მილის სიშორეზედ ბრძოლა მოხდა. ინგლისელები უკუ-ქცეულ იქმნენ. ცნობაში არ არის მოყვანილი რა ზარალი მოუვიდათ მებრძოლთ.

**კაპშტადტი.** გუბერნატორმა მილნერმა კაბინეტის შედგენა გორდონს მიანდო.

**ლონდონი.** ინგლისის ბანკმა დასწია დისკონტი 3 ნახევრიდგან 3 %-მდე.

**იოკაჰამი.** იაპონიის მთავრობა ჩინეთში ნარევს რაზმსა ჰგზავნის. იაპონიას შეუძლიან მოსპოს ამბოხება, მაგრამ ჯერ უნდა დიდთა სახელმწიფოთა ნდობა მოიპოვოს და ისეთს მოქმედობას ერიდოს, რომელსაც ეჭვის აღძვრა შეუძლიან.

**შანხაი.** ტელეგრაფი პეკინსა და კიახტას შუა გაწყვეტილია მეამბოხეთა მიერ.

**ბერლინი.** 6 ივნისს ცზინტაუში 1,200 კაცისაგან შემდგარი ჯარი მივა, რომელნიც ჩინეთში დარჩებიან. ხომალდი „Kaiserin Augusta“ ჩი-ფუში მივიდა და იქიდგან ტაკუში მიდის.

**შანხაი.** ჩეუნკინიდგან, რომელიც სიჩუანის პროვინციაშია, იუწყებიან, რომ იუნან-ფუში უწესოებანი მოხდაო. სრულიად განადგურებულია შენობანი ბრიტანიის ბიბლიის საზოგადოებისა, ქრისტიანთა სამისსიონერო საზოგადოებისა და რომის კათოლიკეთა მისსიისა. მისსიონერები იამენში იმყოფებიან და განსაცდელის შიშნ არა მომლითრა.

2 ივნისი.

**კისლოვოდსკი.** სეზონი დაიწყო.

**დონის-როსტოვი.** არა ჩვეულებრივად ძლიერ იყიდება სამეურნეო იარაღი და მანქანები. ფასებმა აიწია.

**ტიან-ძინი.** რკინის გზის მიმოსვლა ტიან-ძინსა და დიდთა სახელმწიფოთა საექსპედიციო რაზმს შუა შეწყვეტილია. იანგტსუნიდგან სამის მილის მანძილზედ ორი ხიდი დაქცეული. ხმა დადის, რომ „დიდმა მუშტმა“ გადასწყვიტა ტიან-ძინის სადგურს ცეცხლი წაუკიდოსო.

**ბრიუსელი.** ბრიუსელის რკინის გზათა გამყვან საზოგადოებამ ცნობა მიიღო ჩინეთიდგან, რომელიც კვლავ ასაბუთებს „დიდის მუშტის“ მიერ ჩადენილ სიმხეცეთ შვეიცარიელი, მისი და და ორი იტალიელი მოკლულნი არიან; იმათი გვამები არხის ნაპირას უპოვიათ.

**პესსინგი.** ბელგიელი და ფრანგი მოსამსახურენი პესსინგსა და ტიან-ძინამდე მივიდნენ, ორის გარდა რომელნიც დაკარგულნი არიან. 309 კაცს იარაღი აქვს დარიგებული და რკინის გზის ერთ ნაწილს იცავენ. ჩინეთის მანდარინმა შენგმა განაცხადა, რომ მოკლულთა ოჯახობანი საზღაურს მიიღებენო.

**ვაშინგტონი.** ასი ზღვაოსანი იქმნა ტაკუში გაგზავნილი.

## ისევ ღია წერილი ბ ნ კონია თავართქილაძის მიმართ.

სწორედ ახირებული კაცი ბრძანებულა ბ-ნი კ. თავართქილაძე, რომელსაც გაზეთის საშუალებით დაპირება სცოდნია და აღსრულება-კი არა! წარსულის წლის „ივერიის“ საშუალებით დავეკითხე მას: „სამეგრელოს საჯარო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს“ კუთვნილი წიგნებ-ჟურნალ-გაზეთები და ავეჯეულობა, რომელიც შენს წიგნის მაღაზიაში იყო მოთავსებული ამ რამდენისამე წლის წინად, ვის ხელში იმყოფება ამ ჟამად მეთქი. ამაზედ ბ-ნმა თავართქილაძემ წარსულ წლისავე „ივერიის“ ერთ-ერთ №-ში აი რა მიპასუხა: „დიდის სიამოვნებით ვაუწყებ ბ-ნ ოდიშელს და აგრეთვე მკითხველ საზოგადოებას „საჯარო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს“ კუთვნილ ნივთების რაოდენობას, როდესაც სენაკში ჩამოვალო“. თან საყვედურს მიცხადებდა: მეც კარგად ვიცი, რომ საზოგადო კუთვნილ ნივთების მითვისების უფლება არავის არ შეუძლიანო. მაგრამ წარმოიდგინეთ ჩვენი განცვიფრება: აგერ ერთი წელიწადი სრულდება, რაც ანგარიშის გამოცხადებას დაგვპირდა გაზეთის საშუალებით და ჯერ ვერ მოვესწარით. ამაზედ არის ნათქვამი: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“-ო. რა მიზეზია, რომ ეს ვაჟბატონი არ აცხადებს ანგარიშს? ნუ თუ ამგვარის ხრიკებით გავა იგი ფონს? რატომ არ აცხადებს, როდესაც ათჯერ მაინც კი იყო ახალ-სენაკში დაპირების შემდეგ? ვერ გაგვიგია, რა უფლებით ისაკუთრებს იგი საზოგადო ნივთებს და ისიც „სამკითხველო-წიგნთ-საცავისას“. თუ საზოგადო ნივთები, რომელიც დღეს მის ხელშია, არ უნდა მიითვისოს, დროა, ჩააბაროს საზოგადოებას. უკანასკნელად ვთხოვთ ბ-ნს კ. თავართქილაძეს, „ივერიის“ მახლობელ №-ში გამოაცხადოს დაპირებული ანგარიში. წინაამდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით მის საქციელს ის სახელი ვუწოდოთ, რაც შეეფერება.

ოდიშელი

## წერილი რედაქციის მიმართ

—

ულრმეს მადლობას ვუცხადებ ხარკოველ ქართველ სტუდენტების მონდობილობით ვლადიმერ რუხვაძეს, რომელმაც შემოსწირა ჩვენს მეტად ღარიბ წიგნთ-საცავს ანტონ ფურცელაძის თხზულებათა უმეტესი ნაწილი, ღირებული 3 მან.

სტუდ. მამია ორახელაშვილი


## განცხადებანი

შავის-ქვის მწარმოებელთა კრების

**საბჭო**

აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვინც განცხადება შეიტანეს და ითხოვეს, ჭიათურის სადგურზედ ბაქანი დაგვითმეთ შავი-ქვის საწყობადაო, რომ თანახმად მე-4 §-ისა შავის-ქვისათვის საწყობ სადგომებისა და ვაგონების განაწილების შესახების დროებით წესებისა, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის ცირკულიარით შემოღებული 18 მარტს 1900 წელს, მათ უნდა კავკასიის სამთო გამგეობისაგან წარმოადგინონ მოწმობანი იმისა, რომ ქვა-მადნების დამუშავების უფლება აქვთ, ამასთან აღნიშნონ რაოდენობა დამუშავებულ ქვისა (ეს რაოდენობა 30,000 ფუთზედ ნაკლები არ უნდა იყოს), ან სამრეწველო მოწმობა პირველის ხარისხისა. ეს მოწმობანი უნდა წარუდგინონ შავის-ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს ან ვაგონებისა და ბაქანების გამნაწილებელ კომიტეტის თავმჯდომარეს ამა წლის არა უგვიანეს

15 ივნისისა.

ამასთან კრების საბჭო წინდა-წინვე აცხადებს, რომ იმათი განცხადებანი, ვინც ზემოდ დასახელებულ მოწმობებს არ წარმოადგენს, სულ არ იქმნება განხილული. (3—6.—2)

## ახალი სტამბა

მიხეილ გაჩეჩილაძისა

**დ. ყვირილაში**

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს გასაკეთებლად და ჰკისრულობს მათ შესრულებას სუფთად და სწრაფად. სტამბასთან არის წიგნებისა და კანცელარიის ნივთეულობის მაღაზია და წიგნების საკაზმავი სახელოსნო. ფასები ზომიერია. (7—6—6).



## თვით-მოძრავი ელევატორი ხან-აგოვისა.

ასეთს ელევატორს დღე და ღამ განუწყვეტლივ ააქვს წყალი თავის-თავად ქვეიდგან ზევით. იგი საუცხოვოა მინდვრებისა და ბაღების სარწყავად.

მსურველმა ამ ადრესით უნდა მიჰმართოს:

Л. Е. Ханъ-Агову, Тифлисъ, Петербургская улица, № 12.

(15—102—8)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 2-го Іюня 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე